ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

„თავისუფლების ქარტია“ და ლუსტრაციის საერთაშორის პრაქტიკა

იანვარი 2014 წ.

ავტორი: **სალომე ჩუხუა**

შინაარსი

შესავალი 3

ლუსტრაციის პროცესის დასაწყისი საქართველოში 3

სხვა ქვეყნების გამოცდილება 5

- გერმანია 5
- ჩეხეთი 6
- სლოვაკეთი 7
- უნგრეთი 7
- პოლონეთი 8
- რუმინეთი 9
- ბულგარეთი 10
- ალბანეთი 11
- ხორვატია 12
- ბოსნია - ჰერცოგოვინა 12
- მაკედონია 13
- სერბეთი და მონტენეგრო 13
- ლიტვა 13
- ლატვია 14
- ესტონეთი 14

კომუნისტური სიმბოლოების აკრძალვა სხვა ქვეყნების მაგალითზე 15

დასკვნა 17

გამოყენებული წყაროები 18

შესავალი

ლუსტრაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს განწმენდას მსხვერპლშეწირვის გზით. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ეს ტერმინი გამოიყენეს აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში მიმდინარე პროცესების აღსაწერად; კერძოდ კი იმ თანამდებობის პირებისა თუ კანდიდატების წარსულის შემოწმების მიზნით, ვინც ტოტალიტარული მმართველობის ეპოქაში დანაშაულებრივ რეჟიმთან თანამშრომლობაში იყო შემჩნეული ან ეკავა მაღალი თანამდებობა სახელმწიფო უშიშროებისა თუ სხვა საიდუმლო სამსახურებში. ლუსტრაცია ხორციელდება სპეციალური კანონების საფუძველზე და დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, პიროვნება თავისუფლდება სამსახურიდან და ეკრძალება სამუდამოდ, ან გარკვეული ვადით საჯარო სამსახურში მუშაობა. ამასთანავე, ლუსტრაციის პროცესი შესაძლოა, მოიცავდეს საიდუმლო არქივების გასაჯაროებას და მოსახლეობისთვის ამ ინფორმაციაზე წვდომის დაშვებას.

ლუსტრაციის პროცესი პოსტ-საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო. საქართველოში, მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, ლუსტრაციის ელემენტების მქონე კანონი შემუშავებული იქნა მხოლოდ 2007 წელს, თუმცა ის მხოლოდ 2011 წელს იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ. ორი წლის შემდეგ, 2013 წელს კი კანონის რეალურად ამუშავების მიზნით, მასში შესატანად რამდენიმე ცვლილება მომზადდა.

ლუსტრაციის პროცესის დასაწყისი საქართველოში

2013 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით, 87 ხმით 2-ის წინააღმდეგ, დაამტკიცა კანონპროექტები „საქართველოს კანონში „თავისუფლების ქარტია“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“. კანონპროექტის თანახმად, „თავისუფლების ქარ-ტიის“ პირველი მუხლი ყალიბდება განსხვავებული რედაქციით,[1] მეორე მუხლს „ე“ ნაწილი ემატება, რომელიც კომუნისტურ ტოტალიტარულ სიმბოლიკას განმარტავს[2]. ცვლილებები

[1] ამ კანონის მიზანია, საერთაშორისო სტანდარტების, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების გათვალისწინებით, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ტერორიზმისა და ქვეყნის უშიშროების საფუძვლების ხელყოფის აღკვეთა, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის ნორმების ეფექტიანი ამოქმედება და ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება. კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლოების, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, ასევე კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა.

[2] ე) კომუნისტური ტოტალიტარული სიმბოლიკა - სიმბოლიკა, რომელიც გამოხატავს კომუნისტურ ტოტალიტარულ რეჟიმს, რომელიც ხასიათდებოდა ადამიანის უფლებათა დარღვევით, მასობრივი ფიზიკური ტერორის სხვადასხვა ფორმებით; ინდივიდუალური და მასიური მკვლელობებითა და განადგურებით; წამებითა და მონური შრომით; ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე დევნით; სინდისის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვით და სხვა.

„თავისუფლების ქარტიის“ მე-7 მუხლსაც შეეხება[3], რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში კომისიის შექმნის საკითხს არეგულირებს. ამასთანავე, ცვლილებები შევა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ და კანონს დაემატება 174[15]-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, თავისუფლების ქარტიის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული კომისიის მითითების შეუსრულებლობა გამოიწვევს ჯერ პირის გაფრთხილებას, განმეორების შემთხვევაში კი პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

საკითხი განსახილველად წარადგინეს საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა ლევან ბერძენიშვილმა და თამარ კორძაიამ.

“თავისუფლების ქარტია”[4] წინა მოწვევის პარლამენტმა გია თორთლაძის ინიციატივით მიიღო 2011 წელს; კანონი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება - ანტიტერორისტულ ღონისძიებათა პაკეტი, ლუსტრაცია და საბჭოთა სიმბოლიკების აკრძალვა. კანონი ითვალისწინებს თანამდებობრივი შეზღუდვების დაწესებას იმ პირებისთვის, რომლებიც კავშირში იყვნენ საბჭოთა კავშირის საიდუმლო სამსახურებთან 1989 წლის 9 აპრილამდე. გარდა ამისა, კანონის მიხედვით, რეჟიმთან კავშირში მხილებული პირების სია არ იქნება საჯარო და ის მხოლოდ სპეციალური კომისიისთვის იქნება ხელმისაწვდომი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში უნდა შექმნილიყო, თუმცა, მიუხედავად ამ პირობისა, კომისია დღეის მდგომარეობით კვლავ არ არის შექმნილი.

ამჟამინდელი ცვლილებების ინიციატორთა მთავარი მიზანია ამ კომისიის რეალურად ამუშავება. კანონპროექტი კომისიის დანიშნულებასაც ახალი რედაქციით აყალიბებს[5]. შინაგან საქმეთა მინისტრმა ცვლილებების ამოქმედებიდან 2 თვეში კომისიის დებულება უნდა შეიმუშავოს და დაამტკიცოს. სწორედ ეს კომისია წყვეტს, რომელი ძეგლი ან ბარელიეფი წარმოადგენს საბჭოთა ტოტალიტარიზმის, კომუნიზმის ან ფაშიზმის სიმბოლოს და დადგენილი წესით მათი აღმოფხვრის შესახებ გადაწყვეტილებებს მიიღებს. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირი კომისიის მითითებას არ შეასრულებს, ეს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას გამოიწვევს. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, პირველ ეტაპზე, მოხდება დამრღვევის გაფრთხილება, მითითების შეუსრულებლობის შემდეგ კი გამოიწვევს

[3] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVIII თავით გათვალისწინებულ დანაშაულთა პრევენციის მიზნით, ქვეყნის უსაფრთხოების და დემოკრატიული განვითარების უზრუნველსაყოფად, ყოფილი სსრკ-ის სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლების, ამ კანონით დადგენილი თანამდებობის პირების რეგისტრაციის, ნებაყოფლობითი აღიარებისა და რეესტრის წარმოების, ასევე საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების და პროპაგანდის აკრძალვის მიზნით და ამ კანონით განსაზღვრული სხვა მიზნებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში იქმნება კომისია. კომისიაში თითო წევრის წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტის ფრაქციებს. **კომისიის შემადგენლობა (გარდა საქართველოს პარლამენტის ფრაქციების მიერ წარდგენილი წევრებისა) და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.**

[4] http://civil.ge/geo/article.php?id=24128

[5] კომისია დადგენილი წესით აგროვებს მონაცემებს და აწარმოებს იმ პირთა რეესტრს, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ყოფილი სსრკ-ს სპეციალურ სამსახურებთან ან რომელთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული მონაცემები მიუთითებს მათ ფარულ კავშირზე ყოფილი სსრკ-ს სპეციალურ სამსახურებთან. კომისია ასევე აგროვებს ინფორმაციას კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკების ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაზე გამოყენების თაობაზე, ასევე საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების შესახებ, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების, აგრეთვე მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილების შესახებ, რომლებიც შეიცავს კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების და პროპაგანდის ელემენტებს თუ ამ იდეოლოგიების ლიდერთა სახელებს.

დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ თუკი დადგენილი წესები დაირღვევა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის საფუძველზე სასამართლოსთვის მიმართვის უფლება არა მხოლოდ კომისიას, არამედ ნებისმიერ მოქალაქეს მიეცემა. კანონპროექტის ძირითადი არსი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის #1481-2006 და 1096-1996 რეკომენდაციების გათვალისწინება და საქართველოს კანონმდებლობის ევროპის საბჭოს სტანდარტებთან დაახლოებაა.

სხვა ქვეყნების გამოცდილება

ამ კანონის მიღებით საქართველო იმ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს უერთდება, რომლებმაც უკვე მიიღეს ლუსტრაციის კანონი. პირველი ასეთი პოსტ-საბჭოთა ქვეყანა იყო აღმოსავლეთ გერმანია და ჩეხოსლოვაკია. გერმანია, ამასთანავე იყო პირველი, რომელმაც გახსნა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს (Stasi) არქივები.

გერმანია[6]

ე.წ. წმენდის პროცესი გერმანიაში საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო. 1990 წლის აგვისტოში გერმანიაში გაფორმდა *გერმანიის გაერთიანების ხელშეკრულება*, რომლის მიხედვითაც გერმანიის ყველა მოქალაქეს მიეცა უფლება, გასცნობოდა სპეცსამსახურების არქივებში საკუთარ თავზე დაცულ ინფორმაციას. გარდა ამისა, ამავე ხელშეკრულებამ დამსაქმებლებს მისცა უფლება, მოეთხოვათ საკუთარი თანამშრომლების წარსულის „გადამოწმება“.

იმავე წელს მიიღეს კანონი *ყოფილი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მონაცემების დაცვისა და გამოყენების შესახებ*, რომელიც მოქალაქეებს ანიჭებდა უფლებამოსილებას, ჰქონოდათ ინფორმაცია არქივებიდან, თუმცა მოქალაქეებს არ ჰქონდათ დოკუმენტების მიღების, მათი ასლების გადაღების უფლება. 1992 წლის იანვარში მიღებულმა კანონმა კი დოკუმენტებზე წვდომაც უზრუნველყო.

ლუსტრაციის მიზნით გერმანიაში ორი კომისია შეიქმნა. პირველი, *გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დიქტატურის შედეგებისა და ისტორიის შესაფასებელი კომისია* 1992 წელს შეიქმნა. კომისიის მიზანი იყო შეესწავლა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს რეპრესიული აპარატის მუშაობა. კომისიამ 150,000 გვერდის ოდენობის მასალა მოიპოვა და ოფიციალური ანგარიში გამოაქვეყნა. მეორე, *Enquête-Kommission* (საგამოძიებო კომისია) შეიქმნა 1995 წლის მაისში და მისი მიზანი იყო „გერმანიის ერთიანი სოციალისტური

[6] http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst
https://www.academia.edu/1657589/The_Politics_of_Memory_in_Post-Communist_Europe_A_Comparative_Analysis (pg.5, 7, 8)

პარტიის დიქტატურის შედეგებთან ბრძოლა გერმანიის გაერთიანების პროცესის პარალელურად“.

როგორც აღინიშნა, გერმანია იყო პირველი, რომელმაც საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახადა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს (Stasi) არქივებში დაცული ინფორმაცია, რის შედეგადაც, ყველას, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩათვლით, აქვს უფლება ნახოს მასზე არსებული ფაილები და გაიგოს, თუ რა გავლენა იქონია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურმა მის ცხოვრებაზე. სააპლიკაციო ფორმის შევსება ინტერნეტის მეშვეობით არის შესაძლებელი, ჩაბარებიდან 12 კვირაში კი გამგზავნი იღებს პასუხს, არსებობს თუ არა მის შესახებ საქმე "შტაზის" არქივში. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივების ფედერალური კომისია (BStU) ხელს უწყობს ამ პროცესს საჯარო დაწესებულებაში ჩატარებული გამოძიებებით, რომლის მიზანია, გაირკვეს, არის თუ არა ამ ოფიციალური უწყებების რომელიმე თანამშრომელი ეროვნული უშიშროების სამსახურის ყოფილი წევრი.

ჩეხეთი[7]

ჩეხეთში (მაშინდელი ჩეხოსლოვაკია) ჯერ კიდევ 1991 წლის ოქტომბერში მიიღეს კანონი *კომუნისტური რეჟიმის უკანონოდ გამოცხადების შესახებ,* რომელიც შეეხო სახელმწიფო უშიშროების სამსახურის აგენტებს, კომუნისტური პარტიის მაღალჩინოსნებს, სახალხო მილიციის, ეროვნული უსაფრთხოების კორპუსისა და 1948 და 1968 წლების წმენდის კომისიების წევრებს, სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (KGB) სკოლების სტუდენტებსა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის კონსპირაციული ბინების მფლობელებს. ეს კანონი ხუთი წლით კრძალავდა ყოფილი თანამდებობის პირების მიერ პოზიციების დაკავებას. კანონის მოქმედების ძალაც ხუთი წლით განისაზღვრა.

1996 წელს კიდევ ერთი კანონი იქნა მიღებული, რომელმაც უზრუნველყო საიდუმლო პოლიციისა და ცენტრალური და რეგიონული კონტრ-დაზვერვის დეპარტამენტების დოკუმენტებზე საჯარო წვდომა. რამდენიმე წლის შემდეგ, 2002 წელს, მიიღეს რეგულაციები ინფორმაციაზე საჯარო წვდომის დასარეგულირებლად, რის შემდეგაც, ხელმისაწვდომი გახდა ყოფილი სახელმწიფო უშიშროების მასალებიც; 2004 წელს მიღებული კანონით კი მოქალაქეებს უკვე ხელი მიუწვდებოდათ როგორც ანტი-კომუნისტი დისიდენტების შესახებ ინფორმაციაზე, ასევე პირადად მათ წინააღმდეგ არსებულ კომპრომატებზეც.

ადრეულ 1990-იანებში ყოფილმა დისიდენტმა და პოლიტიკურმა პატიმარმა პეტრ ციბულკამ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის არქივებიდან მიღებული დოკუმენტების საფუძველზე გამოაქვეყნა იმ 160,000 პირის სახელები და გვარები, რომლებიც თანამშრომლობდნენ

[7] http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst
https://www.academia.edu/1657589/The_Politics_of_Memory_in_Post-Communist_Europe_A_Comparative_Analysis (pg.5, 7, 8)

რეჟიმთან. 2003 წელს კი ჩეხეთის რესპუბლიკამ ინტერნეტის მეშვეობით საჯარო გახადა იმ 100,000 ადამიანის ვინაობა, ვინც ასევე კომუნისტურ რეჟიმთან თანამშრომლობდა.

კომუნიზმის დანაშაულთა გამოძიებისა და აღრიცხვის ბიუროს ცნობით, 25 ყოფილი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ოფიცერი პასუხისგებაში მიეცა „ასანანსის“ ოპერაციისას განხორციელებული ანტი-დისიდენტური რეიდების გამო. გარდა ამისა, 2005 წლის სექტემბერში 70-იან წლებში დისიდენტების წამებისა და დევნის ბრალდებით დაკავებული იქნა ორი ყოფილი საიდუმლო სამსახურების თანამშრომელი. 1989 წლის შემდეგ, სულ მთლიანობაში დამნაშავედ იქნა ცნობილი 90 და დაპატიმრებული იქნა 26 ყოფილი უშიშროების სამსახურის თანამშრომელი.

სლოვაკეთი[8]

ჩეხოსლოვაკიაში (რომელიც დაიშალა 1993 წელს) 1991 წელს მიღებული ხუთწლიანი კანონის ვადის გასვლის შემდეგ, ჩეხეთმა 1996 წელს მის გაგრძელებაზე იზრუნა, ხოლო სლოვაკეთში ამ კუთხით არავითარი საკანონმდებლო ინიციატივა არ გატარებულა. მეტიც, სლოვაკეთში, (ჯერ კიდევ როგორც ჩეხოსლოვაკიის შემადგენელ ნაწილში) 1991 წელს მიღებული ხუთწლიანი კანონი, პრაქტიკაში სერიოზულად არ განხორციელებულა. სანაცვლოდ, 1996 წელს სლოვაკეთის პარლამენტმა მიიღო კანონი კომუნისტური რეჟიმის უსამართლოდ ცნობის შესახებ, თუმცა, 1991 წელს მიღებული კანონის მსგავსად, ამ საკანონმდებლო ინიციატივასაც არ მოჰყოლია ქმედითი ნაბიჯები. 2002 წლის აგვისტოში მიღებული იქნა კანონი, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო წვდომას სახელმწიფო უშიშროების ძალების მიერ 1939-1989 წლებში გატარებული ქმედებების შესახებ ინფორმაციაზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კანონი არ ითვალისწინებდა არავითარ სანქციას იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვისი დანაშაულებრივ რეჟიმთან თანამშრომლობაც დასტურდებოდა; 2003 წლის 1 მაისს კი შეიქმნა „ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტი“, რომელიც გარდა ინფორმაციის გასაჯაროებისა, ასევე იკვლევს ტოტალიტარული რეჟიმის ისტორიას.

უნგრეთი[9]

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მალევე დაიწყო ლუსტრაციის პროცესის დაწყების მოთხოვნა უნგრეთშიც და 2002 წლისთვის უკვე ათამდე საკანონმდებლო ინიციატივა შევიდა ადგილობრივ პარლამენტში. თუმცა აქედან პირველი, 1990 წლის „დემსკი-ჰაკის“

[8] http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst
https://www.academia.edu/1657589/The_Politics_of_Memory_in_Post-Communist_Europe_A_Comparative_Analysis (გვ. 6, 7, 8)
http://www.sscnet.ucla.edu/polisci/cpworkshop/papers/Kunicova.pdf (გვ. 5)
http://spectator.sme.sk/articles/view/645/1/

[9] http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst
https://www.academia.edu/1657589/The_Politics_of_Memory_in_Post-Communist_Europe_A_Comparative_Analysis (გვ. 6, 7, 8)
თამარ ფხაკაძე; *საინფორმაციო ფურცელი კანონპროექტის შესახებ;* 15.11.2013 (გვ.6)

კანონპროექტი ჩავარდა. 1991 წლის მაისში კანონპროექტი ისევ იქნა შემუშავებული, თუმცა ის მიიღეს მხოლოდ სამი წლის შემდეგ - 1994 წლის მარტში და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 2000 წლის ივნისამდე. ეს იყო კანონი ლუსტრაციის შესახებ *Act XXIII of 1994 on the Screening of Holders of Some Important Positions, Holders of Positions of Public Trust, and Opinion-Leading Public Figures.* კანონის მიხედვით უნდა შესწავლილიყო დაახლოებით 12,000 თანამდებობის პირის კავშირები კომუნისტური პარტიის საიდუმლო პოლიციასთან. 1996 წელს პარლამენტმა, სადაც დომინირებდნენ სოციალისტები (ყოფილი კომუნისტები), შეზღუდა კანონის მოქმედების სფერო და მოიცვა მხოლოდ 500-დან 1000-მდე თანამდებობის ჩამონათვალი პარლამენტარების, მინისტრების, სხვა მაღალი თანამდებობის პირების, სასამართლო სისტემისა და მედიის წარმომადგენლების ჩათვლით. 2000 წელს კი, როცა პარლამენტში უმრავლესობით ანტი-კომუნისტური, მემარჯვენე, უნგრეთის სამოქალაქო პარტია მოვიდა, კანონის მოქმედების ფარგლები კვლავ გაიზარდა.

უნგრეთში შეიქმნა ლუსტრაციის დამოუკიდებელი სასამართლო, რომელსაც ჰქონდა წვდომა საიდუმლო მასალებზე და რომლის კომპეტენციაშიც შედიოდა მაღალი თანამდებობის პირების საქმეთა გამოძიება. მთავარ სამიზნეს წარმოადგენდნენ ის ადამიანები, რომლებსაც ჰქონდათ კავშირები ან მფარველობა საბჭოთა სახელმწიფოს მხრიდან. მოხდა 600-მდე ადამიანის ლუსტრაცია. ამ პირებს ურჩიეს დაეტოვებინათ დაკავებული თანამდებობები, მაგრამ „რჩევა“ რეალურად არასდროს ყოფილა გათვალისწინებული.

მას შემდეგ კი, რაც 2002 წელს გამჟღავნდა, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი, პეტერ მედიეში წარსულში თანამშრომლობდა კომუნისტურ რეჟიმთან დაზვერვის საკითხებში, მთავრობამაც და ოპოზიციამაც გადაწყვიტა უფრო მკაცრი ლუსტრაციის კანონის მიღება. რის შედეგადაც, 2003 წელს მიღებული იქნა კანონი, რომელიც მოქალაქეებს აძლევს უფლებას, გაეცნონ მათზე არსებულ საიდუმლო დოკუმენტებს; ასევე, მიიღონ იმ ადამიანთა შესახებ ინფორმაცია, რომლებიც მათზე ჯაშუშობდნენ.

პოლონეთი[10]

პოლონეთში ლუსტრაციის პროცესესის დაწყება იან ოსლევსკის მთავრობის 1991 წლის გადაწყვეტილებას მოჰყვა, რომლის მიხედვითაც, აუცილებელი ხდებოდა არსებული თანამდებობის პირების კომუნისტების საიდუმლო სამსახურებთან კავშირების შესწავლა. პროცესის შედეგად, პარლამენტის 64 წევრს ბრალი წაუყენეს.

ამას მოჰყვა ლიბერალ-დემოკრატების კონგრესის წარუმატებელი კანონპროექტი ლუსტრაციის შესახებ. 1995 წლის დეკემბერში კი ლუსტრაციის თემა კიდევ ერთხელ გახდა აქტუალური, როცა ყოფილ კომუნისტ პრემიერს, იოსიფ ოლეკსის ბრალი დასდეს საბჭოთა

[10] http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst
https://www.academia.edu/1657589/The_Politics_of_Memory_in_Post-Communist_Europe_A_Comparative_Analysis (pg.6, 7, 8)
თამარ ფხაკაძე; *საინფორმაციო ფურცელი კანონპროექტის შესახებ;* 15.11.2013 (გვ.4)

და რუსეთის აგენტობაში. საპასუხოდ კი პოლონეთმა 1997 წელს მიიღო ლუსტრაციის კანონი, რომელიც ვრცელდებოდა ყველა არჩეულ სახელმწიფო თანამდებობის პირზე, საპარლამენტო კანდიდატების ჩათვლით, ყველა მინისტრზე, მოსამართლეებზე, პროკურორებსა და ელექტრონული და ბეჭდური მედიის წარმომადგენლებზე. 1998 წელს შეტანილი ცვლილებების შედეგად კი კანონის მოქმედების სფერო გაფართოვდა და მოიცვა ადვოკატებიც, რის შედეგადაც ლუსტრირებულ ადამიანთან რაოდენობამ 23,000-ს მიაღწია. იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება იცრუებდა საკუთარი წარსულის შესახებ, მას კანონით ეკრძალებოდა 10 წლის მანძილზე სახელმწიფო სამსახურში დასაქმება. თანამდებობის პირებს მოეთხოვებოდათ წერილობითი ჩვენების წარმოდგენა, რომელიც შეეხებოდა მათ შესაძლო კავშირებს საიდუმლო პოლიციასთან. ლუსტრაციის პროკურორი ამოწმებდა ამ ჩვენებებს და საეჭვო საქმეებს გადასცემდა ლუსტრაციის სასამართლოს, რომელიც სამი მოსამართლისგან შედგებოდა და რომლის გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა აპელაციას.

2000 წელს „ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის“ ინიციატივითა და პარლამენტის თანხმობით, მოქალაქეებს მიეცათ საიდუმლო მასალებზე წვდომის უფლება. დაიწყო 1939 წლის 1 სექტემბრიდან 1989 წლის 31 დეკემბრამდე ჩადენილი დანაშაულებების გამოძიება. დანაშაული პოლონელი ერის წინაშე მოიცავდა ნაცისტური გერმანიისა და კომუნისტური რეჟიმების მიერ ჩადენილ დანაშაულებს, დანაშაულს მშვიდობის და კაცობრიობის წინაშე, ომში ჩადენილ დანაშაულებს ჩადენის ადგილის მიუხედავად (თუ საქმე ეხებოდა პოლონეთის მოქალაქეს) და დაზარალებულის წარმომავლობის მიუხედავად, თუ ეს დანაშაული ჩადენილი იყო პოლონეთის ტერიტორიაზე. 2004 წლის ივნისში უკვე 2359 გამოძიება იყო ჩატარებული, გამოვლინდა 363 ნაცისტური რეჟიმის, 918 კომუნისტური რეჟიმის მიერ ჩადენილი და სხვა სახის 78 დანაშაული. 2001 წლიდან 2004 წლამდე 15,485-მა ადამიანმა გამოითხოვა ინფორმაცია. დაზარალებულებს აქვთ ინფორმაციაზე სრული წვდომა, არ არსებობს არავითარი შეზღუდვა.

2005 წლის იანვარში, გაზეთ Rzeczpospolitica-ს ჟურნალისტმა, ბრონისლავ უილდშტეინმა ინტერნეტში გამოაქვეყნა იმ ადამიანთა სავარაუდო სია, ვინც შესაძლოა, პოლონურ უშიშროების სამსახურებთან თანამშრომლობდა. ეს სია დაახლოებით 240,000 ადამიანისგან შედგებოდა. ლუსტრაციის პროცესმა სასულიერო პირებიც მოიცვა. 2007 წლის იანვარში ვარშავის მიტროპოლიტმა სტანისლავ ველგუსმა აღიარა კავშირი პოლონეთის უშიშროების სამსახურებთან. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის კომპეტენციაშიც შედიოდა 45 ეპისკოპოსის საქმიანობისა და სპეცსამსახურებთან სავარაუდო კავშირის შესწავლა.

რუმინეთი[11]

1999 წლის დეკემბერში რუმინეთში ძალაში შევიდა კანონი, რომელიც მოქალაქეებს აძლევდა უფლებას, გამოეთხოვათ მათზე არსებული ინფორმაცია, მიეღოთ დოკუმენტების ასლები,

[11] http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst https://www.academia.edu/1657589/The_Politics_of_Memory_in_Post-Communist_Europe_A_Comparative_Analysis (pg.6, 7, 8)

თუმცა ის მასალები, რომლებიც ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას, რჩებოდა საიდუმლოდ. 2000 წელს შეიქმნა სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის (Securitate) არქივების შემსწავლელი ეროვნული საბჭო, თუმცა მის მუშაობას სერიოზული შედეგები არ მოჰყოლია. მათ მასალებიც არ მოეპოვებოდათ, რადგან უშიშროების დეპარტამენტმა მათ გაცემაზე უარი განაცხადა.

უშუალოდ *კანონი ლუსტრაციის შესახებ* მიიღეს 2010 წლის 19 მაისს. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ჯერ კიდევ 2006 წლის აპრილში დამტკიცებული იყო სენატის მიერ, დეპუტატთა პალატამ მისი მიღება 4 წლით გადადო. კანონის მიხედვით, საჯარო თანამდებობის დაკავება უნდა აკრძალვოდათ იმ პირებს, ვინც კომუნისტურ რეჟიმთან თანამშრომლობდა 1945 წლის მარტიდან 1989 წლის დეკემბრამდე.

ბულგარეთი[12]

ლუსტრაცია ამ ქვეყანაში ძირითადად გავრცელდა უშიშროების სექტორსა და მის აგენტურულ ქსელზე. პირველმა ლუსტრაციის კანონმა, რომელსაც *პანევის კანონს (Law on the Temporary Introduction of Addidional Requirements for Members of Executive Bodies of Scientific Organizations and the Higher Certifying Commission)* უწოდებენ და რომელიც 1992 წელს მიიღეს, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამდებობის პირებს აუკრძალა პოლიტიკური პარტიების წევრობა. გათავისუფლებული იქნა ყველა ის მაღალი თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თანამდებობას იკავებდა კომუნისტური რეჟიმის მთავრობაშიც. ამავე კანონის ფარგლებში, აკადემიურ თანამდებობებზე მყოფ პირებს მოეთხოვათ წერილობითი განცხადების წარდგენა საკუთარი წარსულისა და კომუნისტურ პარტიასთან კავშირების შესახებ.

1992 წელსვე ხელმისაწვდომი გახდა საიდუმლო არქივებში დაცული ინფორმაცია. ამასთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტრო გასცემდა „სუფთა წარსულის სერთიფიკატს“. თუმცა 1993 წლის იანვარში სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომელმაც ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აკრძალა პირად საქმეებზე წვდომა და ამ ინფორმაციის გავრცელებას სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაცია მიანიჭა.

შემდეგი ნაბიჯი იყო 1997 წელს მიღებული კანონი - *საჯარო სამსახურის შესახებ,* რომელიც კრძალავდა ყოფილი სახელმწიფო უშიშროების სამსახურში ნამსახურევი პირების მიერ საჯარო თანამდებობის დაკავებას.

2001 წლის შემდეგ ლუსტრაციის კანონს ზედამხედველობას უწევდა ე.წ. „ანდრეევის კომისია“. კომისიამ 1989 წლიდან ზედიზედ ოთხი მოწვევის პარლამენტის 1225 წევრიდან 129-ს აღმოუჩინა ყოფილ უშიშროების სამსახურებთან კავშირები. 2002 წელს მიიღეს კიდევ

[12] http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst https://www.academia.edu/1657589/The_Politics_of_Memory_in_Post-Communist_Europe_A_Comparative_Analysis (pg. 5, 7, 8) თამარ ფხაკაძე; *საინფორმაციო ფურცელი კანონპროექტის შესახებ;* 15.11.2013 (გვ.4)

ერთი კანონი საიდუმლო ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით. 2006 წლის მაისში კი მთავრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პირადი მონაცემები არ გახდებოდა საჯარო.

ალბანეთი[13]

ალბანეთში ლუსტრაციის კანონი რამდენჯერმე მიიღეს. პირველი იყო 1993 წელს მიღებული კანონი, რომელიც სხვა ქვეყნების ლუსტრაციის კანონისგან განსხვავებით უფრო ვიწრო სფეროს მოიცავდა. მის ფარგლებში შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომლის კომპეტენციაშიც შედიოდა საადვოკატო ლიცენზიის ჩამორთმევა ტოტალიტარული საიდუმლო პოლიციასთან კავშირის მქონე პირებისა და ალბანეთის კომუნისტური პარტიის წევრებისთვის. ეს კანონი მალევე არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ალბანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. შემდეგი კანონი მიიღეს 1995 წლის შემოდგომაზე - *კანონი ლუსტრაციის შესახებ;* ეს კანონი რამდენჯერმე შეიცვალა და ძალაში დარჩა 2001 წლის 31 დეკემბრამდე. ვადის გასვლის შემდეგ კი ძალაში დარჩა მხოლოდ მისი მე-16 მუხლი, რომლის მიხედვითაც, შესაბამისი საარქივო მასალები უნდა დარჩენილიყო საიდუმლოდ 2025 წლამდე. ალბანური საიდუმლო სამსახურების ფაილები საჯაროდ ხელმისაწვდომი არასდროს ყოფილა.

1998 წელს მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც, პირი, რომელსაც სურდა არჩევითი თანამდებობის დაკავება, უნდა ყოფილიყო სპეციალური კომისიის მიერ „შემოწმებული“ არჩევნებში მონაწილეობის მიღებამდე ან პოსტზე წარდგენამდე.

ასევე, ლუსტრაციის პროცესის ფარგლებში ალბანეთში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ადგენდა 1944-1991 წლებში კომუნისტური რეჟიმის იმ მსხვერპლთა ვინაობას, რომლებიც შკოდერსა და მიმდებარე უბნებში სახლობდნენ. პირველი შედეგები გამოქვეყნდა 1993 წლის ოქტომბერში. კომისიამ აღმოაჩინა ექვსი მასობრივი საფლავი შკოდერში და დაადგინა 40 მსხვერპლის ვინაობა. თუმცა, ვარაუდობდნენ, რომ მსხვერპლთა რიცხვი 2000-ს აღწევდა.

2008 წელს ალბანეთის პარლამენტმა კიდევ ერთხელ მიიღო *კანონი ლუსტრაციის შესახებ (Act. No. 10034, of 22 December, 2008)*, რომელიც ძალაში რჩება 2014 წლამდე. კანონის მიხედვით, მოხდება ხელისუფლების აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებში დასაქმებული პირების ლუსტრაცია.

[13] http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst
https://www.academia.edu/1657589/The_Politics_of_Memory_in_Post-Communist_Europe_A_Comparative_Analysis (pg. 5, 7, 8)
http://goo.gl/A0vv3H (pg. 184)

ხორვატია[14]

ხორვატიაში ლუსტრაციის კანონი არ მიუღიათ. კანონპროექტი *ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის შედეგების აღმოსაფხვრელად* წარადგინა ხორვატიის მემარჯვენეთა პარტიამ 1998 და 1999 წლებში. ამ კანონპროექტის მიხედვით, კომუნისტური რეჟიმის დროს თანამდებობის მქონე პირებს ეკრძალებოდათ თანამდებობის დაკავება, თუკი გამოვლინდებოდა მათ მიერ ადამიანის უფლებების დარღვევა კომუნისტური რეჟიმისას თანამდებობაზე ყოფნის დროს. თუმცა, ეს კანონი ორივე ჯერზე ამოღებული იქნა დღის წესრიგიდან. რაც შეეხება ინფორმაციაზე საჯარო წვდომას, ამ საკითხის ირგვლივაც არ ყოფილა განხილვა და არც კანონი შესულა ძალაში. 2002 წლის მარტში ხორვატიაში მიიღეს კანონი *ხორვატიის რესპუბლიკის საიდუმლო სამსახურების შესახებ,* რომელიც მიზნად ისახავდა საიდუმლო სამსახურების მუშაობის მონიტორინგის ეფექტური მეთოდის შემუშავებასა და საიდუმლო სამსახურების დეპოლიტიზებას. კანონი ხელმისაწვდომს ხდის სხვადასხვა დოკუმენტებს. ამასთანავე, კანონი ავალდებულებს საიდუმლო სამსახურებს, თითოეული მოქალაქის მოთხოვნას უპასუხონ და გასცენ ინფორმაცია, გროვდებოდა თუ არა მასალა ამა თუ იმ კონკრეტულ პირზე.

ბოსნია - ჰერცოგოვინა[15]

ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში კანონი ლუსტრაციის შესახებ არ მიუღიათ. წარსულში საიდუმლო მასალებზე წვდომა რეგულირდება *ინფორმაციაზე წვდომის თავისუფლების აქტით.* საიდუმლო მასალების ირგვლივ დიდი დისკუსია დაიწყო მას შემდეგ, რაც 2003 წლის ნოემბერში გამოვიდა ივან ბესლიკის ბესტსელერი „იუგოსლავიის მცველები". წიგნში შესულია გრიფით საიდუმლო მასალები ბოსნიის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის არქივიდან და მოცემულია 1350 ინფორმატორის სახელი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინაში არ მიუღიათ სპეციალური ლუსტრაციის კანონი, 1999 წელს ბოსნიაში მიიღეს ე.წ. მოსამართლეების კანონი, რომელიც იმ მოსამართლეებს, რომლებსაც ჩადენილი ჰქონდათ ადამიანის უფლებათა დარღვევის რამე სახის ქმედება, უფლება არ ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ახალ არჩევნებში მანდატის გასვლის შემდეგ. ასევე, 1999-2004 წლებში მოხდა ე.წ. დესერტიფიცირების პროცესი, რომელიც 24,000 პოლიციელსა და 1000-მდე მოსამართლეს შეეხო.

---

[14] http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst
http://www.lustration.net/manual.pdf

[15] http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst
თამარ ფხაკაძე; *საინფორმაციო ფურცელი კანონპროექტის შესახებ;* 15.11.2013 (გვ.7)

მაკედონია[16]

მაკედონიაში უშუალოდ კანონი ლუსტრაციის შესახებ არ მიუღიათ. თუმცა, მიიღეს საიდუმლო მასალებზე წვდომის კანონი - *სახელმწიფო უშიშროების სამსახურის არქივებში დაცული პირადი ინფორმაციის განსაჯაროების შესახებ*, რომელიც 2000 წელს შევიდა ძალაში, რის შედეგადაც, საიდუმლო სამსახურების მიერ რეპრესირებული პირებისთვის ხელმისაწვდომი გახდა 15,000 პირადი საქმე; თუმცა აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გამოუქვეყნებია გამოთხოვილ მასალათა სტატისტიკა. საჯარო არ გამხდარა ასევე სამინისტროს მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშიც.

სერბეთი და მონტენეგრო[17]

ადამიანის უფლებათა დარღვევაზე ანგარიშვალდებულების აქტი მიღებული იქნა 2003 წლის მაისში. კანონი მოიცავდა ყველა სახის ადამიანის უფლებათა დარღვევის პრეცედენტს 1976 წლის 23 მარტიდან, როცა ძალაში შევიდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი. დაზარალებულთა საერთო რაოდენობა უცნობია. შექმნილია სპეციალური კომისია ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოსაძიებლად, რომელშიც 9 წევრი შედის. სამი წევრი უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეა, სამი - ცნობილი სამართლის ექსპერტი, ერთი - სერბეთი პროკურორის მოადგილე, დანარჩენი ორი წევრი კი ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილეა. 2002 წლის 31 მაისს სერბეთში არქივებში დაცულ პირად საქმეებს გრიფით საიდუმლოს სტატუსი მოეხსნა, თუმცა ეს არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი 2003 წლის ოქტომბერში. იგივე ბრძანებულება, 2002 წლის სექტემბერში, მიიღეს მონტენეგროშიც, რომელიც სერბეთისგან განსხვავებით, ძალაში დარჩა.

2001 წლის მარტში პრეზიდენტმა კოშტუნიცამ ჩამოაყალიბა სიმართლისა და შერიგების კომისია, თუმცა წლების შემდეგ ეს კომისია გაუქმდა ისე, რომ ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს.

ლიტვა[18]

1998 წელს პარლამენტმა მიიღო *კანონი სსრკ-ს ყოფილ სპეც-სამსახურებთან საიდუმლო თანამშრომლობაში მყოფი პირების რეგისტრაციის, აღიარების, შეტყობინებისა და დაცვის შესახებ.*[19] კანონის მიხედვით სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (KGB) ყოფილ

---

[16] http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst http://www.lustration.net/manual.pdf

[17] http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst http://www.lustration.net/manual.pdf

[18] http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst

[19] Law on the registration, recognition, reporting, and protection of identified persons who secretly collaborated with the former special services of the USSR

თანამშრომლებს და სხვა საბჭოთა საიდუმლო სპეც-სამსახურების თანამშრომლებს უნდა შეეტყობინებინათ თავიანთი სტატუსის შესახებ სპეციალური კომისიისთვის. 1500-მდე ადამიანმა მიმართა კომისიას და მათი ვინაობა საიდუმლოდ დარჩა. კანონი ყოფილ სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (KGB) თანამშრომლებს უკრძალავდა იურიდიულ საქმიანობასა და ბანკში მუშაობას. ამასთანავე, უზღუდავდა კერძო სექტორში დასაქმებასაც.[20]

როგორც ლიტვის მასმედია ირწმუნება, ჯერ კიდევ 2005 წლისთვის, სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (KGB) 1000-ზე მეტი აგენტი და 4,000-მდე ყოფილი უშიშროების სამსახურების აგენტი დარჩა ლუსტრაციის მიღმა.

ლატვია[21]

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ლატვიაში მხოლოდ 5000 დოკუმენტი დატოვა, რომლებიც ახლა ინახება ტოტალიტარიზმის შედეგების აღრიცხვის ცენტრში. დოკუმენტები მხოლოდ აგენტებისა და ინფორმატორების ვინაობას მოიცავს და არაფერს ამბობს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებების შესახებ, რამაც გაართულა ლუსტრაციის პროცესი.

ლუსტრაციის პროცესი ლატვიაში 1994 წელს დაიწყო, როცა მაისიდან ყოფილი სსრკ-ს საიდუმლო სამსახურებთან მოკავშირე პირებს აეკრძალათ საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა. ასეთივე აკრძალვა ვრცელდებოდა იმ პირებზე, ვინც ლატვიის კომუნისტური პარტიის რიგებში ირიცხებოდა 1991 წლის 13 იანვრამდე (ლატვიის დამოუკიდებლობის დღე). როცა 2004 წელს პარლამენტმა მიიღო ცვლილება, რომელიც ითვალისწინებდა ყოფილი აგენტებისა და ინფორმატორების გარკვეულ სამსახურებში დასაქმების შეზღუდვის გახანგრძლივებას, პრეზიდენტმა კანონს დაადო ვეტო და მხარი დაუჭირა იმ კანონის გახანგრძლივებას 2014 წლამდე, რომელიც საიდუმლოდ ინახავს „სუკ“-ის არქივების მასალებს.

ესტონეთი[22]

ესტონეთში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის დოკუმენტები თითქმის არ დარჩენილა, შესაბამისად, ლუსტრაციის პროცესი მთლიანად ვოლუნტარისტული იყო. კერძოდ კი, 1995 წელს მიღებული იქნა კანონი, რომლის მიხედვითაც კომუნისტური რეჟიმის ყოფილი თანამდებობის პირები და საიდუმლო სამსახურების თანამშრომლები ვალდებულნი იყვნენ, საკუთარი სტატუსის შესახებ განეცხადებინათ და ამ შემთხვევაში, მათი ვინაობა რჩებოდა საიდუმლოდ. კანონის ამოქმედების შემდეგ დანაშაულებრივ რეჟიმთან თანამშრომლობა

[20] ეს კანონი ვერ გავიდა, სავარაუდოდ სსრკ-ს ყოფილი უშიშროების სამსახურების თანამშრომელთა ლობისტური ჩარევის გამო, რომლებიც კანონის განხილვის დროისთვის საკმაოდ მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ ლიტვის სახელმწიფო სტრუქტურებში.

[21] http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst
თამარ ფხაკაძე; *საინფორმაციო ფურცელი კანონპროექტის შესახებ;* 15.11.2013 (გვ.7)

[22] http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst

მხოლოდ 1153-მა მათგანმა აღიარა; პარალელურად კი, 1997 წლიდან 2004 წლამდე 250 სახელი გამოქვეყნდა იმ პირებისა, ვინც თავისი წარსულის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას თავი აარიდა. გარდა ვოლუნტარული აღიარების სისტემისა, სახელმწიფოში სხვა საშუალებები გამოყენებული არ ყოფილა.

კომუნისტური სიმბოლოების აკრძალვა სხვა ქვეყნების მაგალითზე

გარდა კომუნისტური რეჟიმის დროინდელ თანამდებობის პირებზე აკრძალვების დაწესებისა, აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში კომუნისტურ-ნაცისტური სიმბოლოებიც აიკრძალა.

2006 წლის ნოემბერში **ესტონეთის**[23] პარლამენტმა მიიღო ცვლილებები, რომელმაც აკრძალა ნაცისტური და საბჭოთა სიმბოლოების გამოყენება, დროშის, გერბის, ემბლემების ჩათვლით. კანონის მიხედვით ამ სიმბოლოების საზოგადოებაში გამოჩენა ჩაითვლებოდა სიძულვილის წაქეზებად.

2008 წლის ივნისში **ლიტვის** [24] პარლამენტმა შეიტანა საკმაოდ მკაცრი ცვლილებები რამდენიმე კანონში, რომლებიც არეგულირებს სიტყვისა და შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ცვლილებების მიხედვით იკრძალებოდა ნებისმიერი სახის კომუნისტური ან ნაცისტური სიმბოლოს საჯაროდ გამოყენება. აკრძალვა შეეხო დროშებს, გერბებს, ემბლემებს, ორდენებს ნაცისტური თუ კომუნისტური სიმბოლოებით, ამასთანავე აიკრძალა ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ჰიმნების გაჟღერება, დემონსტრაციების და შეკრებების დროს ორივე ტოტალიტარული ქვეყნის ლიდერების პორტრეტების გამოფენა და ა.შ. თუმცა, ეს აკრძალვები არ შეეხებიათ პოლიტიკური პარტიის წევრებს.

2008 წელს მსგავსი კანონის მიღების ინიციატივით **უკრაინის** პრეზიდენტი, ვიქტორ იუშჩენკოც გამოვიდა, თუმცა მისი ინიციატივა ვერ განხორციელდა ქვეყანაში არსებული კომუნისტური პარტიის საკმაოდ მრავალრიცხოვანი მხარდამჭერების გამო. ერთი წლის შემდეგ კი კიევში ლენინის აღებული მონუმენტი დააბრუნეს.

---

[23] http://www.worldsecuritynetwork.com/Europe/no_author/Estonian-to-ban-display-of-Nazi-and-Soviet-symbols

[24] http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/7459976.stm
http://www.loc.gov/lawweb/servlet/lloc_news?disp3_l20540487_text

2009 წლის 27 ნოემბერს **პოლონეთის**[25] პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ დაამტკიცა ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის მიხედვითაც უკანონოდ ჩაითვალა კომუნისტური სიმბოლოების შემცველი ნებისმიერი ნივთის წარმოება, ფლობა, გავრცელება ან გაყიდვა. კანონით კანონდამრღვევს ემუქრებოდა დაჯარიმება ან ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. ამასთანავე, კანონმა განსაზღვრა, რომ კომუნისტური სიმბოლოების გამოყენება აკრძალული არ არის ხელოვნების, კვლევითი და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. აღსანიშნავია, რომ გარდა კომუნისტურის, კანონით აიკრძალა ნაცისტური სიმბოლოების საჯაროდ გამოყენებაც.

ნიშანდობლივია ისიც, რომ 2009 წლის ივლისში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ ლიტვისა და სლოვენიის ინიციატივით მიიღო რეზოლუცია,[26] რომელიც თანაბარ დონეზე აყენებს ნაცისტურ რეჟიმსა და საბჭოთა სტალინიზმს. ამ რეზოლუციას დიდი დისკუსია და განხილვები მოჰყვა, გასაკუთრებით რუსეთში, რადგან ის აღქმული იქნა როგორც აშკარა თავდასხმა რუსეთზე. რეზოლუციას ასევე გამოეხმაურა საბერძნეთის კომუნისტური პარტიის წევრი, კოსტას ალისანდრაკისი, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს არ არის სტალინის წინააღმდეგ მიმართული რეზოლუცია, ეს ზოგადად კომუნიზმის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებაა.

ამ პროცესებს რამდენიმე წელში **მოლდოვაც**[27] შეუერთდა, როცა 2012 წლის ივნისში პარლამენტმა აკრძალა კომუნისტური სიმბოლოების გამოყენება და დაგმო კომუნისტური რეჟიმის მიერ ყოფილ მოლდოვას საბჭოთა რესპუბლიკაში ჩადენილი დანაშაულები. ეს კანონი უფრო მკაცრი აღმოჩნდა, ვიდრე ლიტვაში მიღებული კანონი, რადგან მოლდოვაში კომუნისტურ პარტიასაც მოუწია საბჭოთა სიმბოლოების ჩანაცვლება ახალი ემბლემით. კანონი ძალაში შევიდა 2012 წლის 1 ოქტომბერს, მიუხედავად კომუნისტური პარტიის დიდი წინააღმდეგობისა.

ლატვიის[28] პარლამენტმა საბჭოთა და ნაცისტური სიმბოლოების აკრძალვის შესახებ კანონი 2013 წლის ივნისში მიიღო. ისევე, როგორც ზემოთ მოცემულ შემთხვევებში, ლატვიაშიც აიკრძალა საჯარო ღონისძიებებზე ნაცისტური თუ საბჭოური სიმბოლოებით, მათ შორის დროშებით, გერბებით ემბლემებით და ა.შ. გამოჩენა.

[25] http://rt.com/politics/poland-bans-communist-symbols/
[26] http://rt.com/news/osce-equates-stalinism-to-nazism/
[27] http://www.rferl.org/content/moldova-communist-symbols/24725790.html
http://www.rferl.org/content/moldova-bans-communist-symbols/24643461.html
[28] http://www.baltic-course.com/eng/legislation/?doc=76600

დასკვნა

ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნების ზემოთ მოცემული მაგალითებს თუ გადავხედავთ, საქართველოში ლუსტრაციის პროცესი საკმაოდ დაგვიანებულია, თუმცა ყოფილი კომუნისტური ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებისა და კანონის ეფექტური იმპლემენტაციის შემთხვევაში, შესაძლოა მალე დაიძლიოს ის სირთულეები, რაც ამ პროცესის დაწყებას ახლავს. აუცილებელია აგრეთვე ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ტოტალიტარულ სიმბოლოებთან ბრძოლისა და ლუსტრაციის მიდგომებიც. ზოგადად, პრობლემას საქართველოში ქმნის ერთის მხრივ ლუსტრაციის დაგვიანებული პროცესი (საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წელზე მეტია გასული) და მეორეს მხრივ ის ფაქტი, რომ საქართველოს არქივებში მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი იმ მასალების მოძიება რომელიც უზრუნველყოფდა ლუსტრაციის პროცესის სრულყოფილად წარმართვას. სამწუხაროდ, ყოფილი სახელმწიფო უშიშროების არქივის ნაწილობრივმა განადგურებამ სამოქალაქო ომის პერიოდში, აგრეთვე, მოსკოვის მიერ შესაბამისი აგენტურული მასალების ჩვენი ქვეყნიდან გატანამ, ძალზე მწირე საშუალება დაგვიტოვა იმისთვის, რომ ეს პროცესი სრულყოფილად წარიმართოს. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ლუსტრაციის შესახებ კანონი არის პირველ რიგში ქვეყნის განაცხადი ტოტალიტარული მსოფლმხედველობისგან განრიდებასა და საბჭოთა კავშირის, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმის აღიარებისკენ. ეს კი ნამდვილად აუცილებელია ჩვენი უახლესი ისტორიისა და წარსულის გადაფასებისთვის.

გამოყენებული წყაროები

- Vladimir Balaš; *Albanian Lustration Act, Its Constitutional and International Law Pros and Cons;* http://goo.gl/A0vv3H; ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 11.01.2014
- Daan Bronkhorst; *Part II: Lustration in Central and Eastern Europe; Truth and Justice;* June 2006; http://www.amnesty.nl/part-ii-lustration-in-central-and-eastern-europe-truth-and-justice-june-2006-daan-bronkhorst; ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 06.01.2014
- Lavinia Stan; *The Politics and Memory in Post-Communist Europe: A Comparative Analysis;* https://www.academia.edu/1657589/The_Politics_of_Memory_in_Post-Communist_Europe_A_Comparative_Analysis; ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 10.01.2014
- *საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ;* 30 ოქტომბერი, 2013 წელი; http://goo.gl/jLuieH; ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 13.01.2014
- დათო გამისონია; *ცვლილებები კომუნისტური ტოტალიტარული სიმბოლიკის აღმოსაფხვრელად;* http://24saati.ge/index.php/category/news/2013-11-13/41446 ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 10.01.2014
- თამარ ფხაკაძე; *საინფორმაციო ფურცელი კანონპროექტის შესახებ;* 15.11.2013
- http://www.worldsecuritynetwork.com/Europe/no_author/Estonian-to-ban-display-of-Nazi-and-Soviet-symbols ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 17.01.2014
- http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/7459976.stm ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 17.01.2014
- http://www.loc.gov/lawweb/servlet/lloc_news?disp3_l20540487_text ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 17.01.2014
- http://rt.com/politics/poland-bans-communist-symbols/ ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 17.01.2014
- http://www.rferl.org/content/moldova-communist-symbols/24725790.html ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 17.01.2014
- http://www.rferl.org/content/moldova-bans-communist-symbols/24643461.html ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 17.01.2014
- http://civil.ge/geo/article.php?id=24128 ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 17.01.2014
- http://rt.com/news/osce-equates-stalinism-to-nazism/ ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 27.01.2014
- http://www.sscnet.ucla.edu/polisci/cpworkshop/papers/Kunicova.pdf ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 03.02.2014
- http://spectator.sme.sk/articles/view/645/1/ ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 03.02.2014
- http://www.lustration.net/manual.pdf ინტერნეტ-რესურსზე წვდომის თარიღი: 03.02.2014